



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№224 2018 წლის 30 იანვარი ქ. თბილისი

ქვეყანაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების
შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქვეყანაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით, შეიქმნას სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლევან დავითაშვილი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) დიმიტრი ქუმსიშვილი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, პირველი ვიცე-პრემიერი, კომისიის წევრი;

გ) გიორგი გახარია – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვიცე-პრემიერი, კომისიის წევრი;

დ) ზურაბ ალავიძე – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, კომისიის წევრი;

ე) მამუკა ბახტაძე – საქართველოს ფინანსთა მინისტრი, კომისიის წევრი;

ვ) დავით სერგეენკო – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, კომისიის წევრი;

ზ) მიხეილ ჩხენკელი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, კომისიის წევრი;

თ) ქეთევან ციხელაშვილი – საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, კომისიის წევრი;

ი) გიორგი ხანიშვილი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი.

2. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვით:

ა) საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს – ოთარ დანელიას;

ბ) საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს – კახაბერ კუჭავას;

გ) საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს – აკაკი ზოიძეს;

დ) საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს – რომან კაკულიას;

ე) საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარეს – ზაზა გაბუნიას;

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს – ზურაბ პატარაძეს;

ზ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს – ვახტანგ ყოლბაიას;

თ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს – აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს;

ი) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს – აკადემიკოს გურამ ალექსიძეს.

3. კომისიის სამდივნოს ფუნქციები განახორციელოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

4. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამა.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო
პროგრამა

I. შესავალი

საქართველოს ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანესია ძლიერი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება. ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების საკითხი, ადგილობრივ ფერმერთა კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე, საექსპორტო პოტენციალის ზრდა, სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა, ჯანსაღი გარემოსა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. სხვა ამოცანებთან ერთად ესენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებები.

ამის ფონზე ქვეყნისთვის სერიოზული გამოწვევაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელი მწერის, ყავისფერი მარმარა კუსებურას, იგივე აზიური ფაროსანას ქვეყანაში შემოსვლით და გავრცელებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა, მავნებელთან ბრძოლა და მისი პოპულაციის კონტროლი. აზიური ფაროსანა საქართველოში 2016 წელს შემოვიდა და ბოლო 2016-2017 წლებში, მასშტაბურად დააზიანა თხილის (ნაკლებად - სიმინდის და ციტრუსის) მოსავალი დასავლეთ საქართველოში და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ცალკეულ ფერმერებს და მთლიანად საქართველოს ეკონომიკას.

აზიური ფაროსანას პრობლემის რეგულირება შესაძლებელია სახელმწიფოსა და მოსახლეობის მხრიდან მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი ღონისძიებების აქტიურად განხორციელებით.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და დეკორატიული მცენარეების მავნებლის, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ერთიან სახელმწიფო პროგრამას, მისი ძირითადი პრინციპების, მიზნების, ამოცანების და კონკრეტული ღონისძიებების ერთობლიობას, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო და სატყეო კულტურებზე მავნებლის მიერ მიყენებული შესაძლო ზიანის მინიმიზაციას და მავნებლის პოპულაციის კონტროლირებად ზღვარზე მართვას.

პროგრამა შექმნილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (EU CIB) ხელშეწყობით. პროგრამაში გათვალისწინებულია ქართველი და უცხოელი მეცნიერი და პრაქტიკოსი მცენარეთა დამცველების და ენტომოლოგების რეკომენდაციები.

II. არსებული სიტუაციის ანალიზი

საქართველოში 2016 წელს აზიურმა ფაროსანამ თხილის კულტურას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა (თხილი ყველაზე მეტად სამეგრელოში დაზიანდა, შედარებით ნაკლებად - გურიასა და დასავლეთ იმერეთში). 2017 წელს აზიურმა ფაროსანამ თხილთან ერთად სიმინდის კულტურა და ციტრუსი დააზიანა. 2017 წელს სამეგრელოში, გურიაში, აჭარასა და იმერეთში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით სახელმწიფომ 110,000 ჰექტარზე მეტი ფართობი დაამუშავა.

მოსალოდნელია, რომ 2018 წელს აზიური ფაროსანა გავრცელდება აღმოსავლეთ საქართველოშიც. მისი გავრცელების კონკრეტული არეალის და ინტენსივობის პროგნოზირება შეუძლებელია, თუმცა შესაძლებელია ამ მაჩვენებლების მონიტორინგი და მავნებლის წინააღმდეგ ლოკალური ღონისძიებების ოპერატიულად გატარება.

აზიური ფაროსანას სამშობლოა ჩინეთი, იაპონია და კორეის ნახევარკუნძული. ამერიკის კონტინენტზე მავნებელი პირველად დაფიქსირდა 1996 წელს. აშშ-ში აზიური ფაროსანა, როგორც მავნებელი, ოფიციალურად იდენტიფიცირებული და რეგისტრირებული იქნა 2001 წელს, როდესაც პენსილვანიის შტატში აღინიშნა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანება. მავნებლისაგან მამულები ზარალი აშშ-ში დაფიქსირდა 2010 წელს, როდესაც სოფლის მეურნეობისათვის მისგან მიყენებულმა ზიანმა 33 შტატში 21 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ევროპაში პირველად აზიური ფაროსანა შემჩნეული იქნა 2004 წელს ლიხტენშტეინის სამთავროში, 2007 წ. - შვეიცარიის კონფედერაციაში, 2011 წ. - გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, 2012 წ. - საფრანგეთის რესპუბლიკაში, 2013 წ. - იტალიის რესპუბლიკაში, 2014 წ. - რუსეთის ფედერაციაში (სოჭი).

აზიური ფაროსანას ძლიერი უარყოფითი გავლენა სასოფლო-სამეურნეო და სატყეო კულტურებზე განპირობებულია მისი ბიოლოგიური მახასიათებლებით, კერძოდ,

ა) აზიური ფაროსანა პოლიფაგი მწერია, რომელიც იკვებება 300-ზე მეტი მცენარით (მათ შორის - სასოფლო-სამეურნეო კულტურებით, დეკორატიული და ტყის მცენარეებით);

ბ) გამოზამთრება შეუძლია ტყისპირებში, ბუჩქნარებში, ხეების ფულუროებში, შენობა-ნაგებობებში, სადგომებში, სათავსოებში, ყუთებში და ა.შ.;

გ) აქვს რეპროდუქციის მაღალი უნარი;

დ) ზრდასრულ მწერს შეუძლია დღეში 35 კმ. მანძილზე ფრენა. მისი გადაადგილება კულტურებზე და ტერიტორიებზე ძნელად პროგნოზირებადია;

ე) თხილის, სიმინდისა და ციტრუსების გარდა შეუძლია მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სხვა კულტურებსაც (თესლოვანი, კურკოვანი და კენკროვანი ხილის სხვადასხვა სახეობას, ბოსტნეულ კულტურებს, მარცვლეულ კულტურებს);

ვ) აზიურ ფაროსანას ძლიერი ინვაზიის დროს მოსავლის 70 %-ის დაზიანება შეუძლია;

ზ) საქართველოს ეკო-სისტემაში ჯერჯერობით არ არის იდენტიფიცირებული მავნებლის ბუნებრივი მტერი, რომელიც მის პოპულაციას გააკონტროლებს.

III. განხორციელებული ღონისძიებები

2016-2017 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ დასავლეთ საქართველოში მასშტაბური ღონისძიებები გაატარა.

2016 წლის ნოემბერში, ევროპელ და ამერიკელ ექსპერტებთან ერთად, საქართველოს სამეცნიერო წრეების ჩართულობით შემუშავდა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სტრატეგია, რომელიც სამ ძირითად მიმართულებას - საინფორმაციო კამპანიას, მონიტორინგს და ქიმიურ ღონისძიებებს მოიცავს. „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარის N588 განკარგულებით აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით განისაზღვრა ბიუჯეტი და სსიპ -სურსათის ეროვნულმა სააგენტომ USAID/REAP მხარდაჭერით დაიწყო სამოქმედო გეგმის თანმიმდევრული განხორციელება, კერძოდ:

ა) აზიური ფაროსანას გავრცელების არეალის განსაზღვრის მიზნით შეიქმნა მონიტორინგის სისტემა; 21 ათასი მოსაზიდი ხაფანგი-ფერომონი განთავსდა 351 სოფელში მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე; მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით დაიგეგმა ქიმიური წამლობის არეალი და ღონისძიებები, წამყვანი ენტომოლოგების რეკომენდაციით და მავნებლის ბიოლოგიის გათვალისწინებით განისაზღვრა შეწამვლითი ღონისძიებების დაწყების ვადა;

ბ) ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს გადაეცათ საჭირო ინსექტიციდი, ზურგსაკიდი შემასხურებელი აგრეგატები და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

გ) ქიმიური წამლობისას გამოყენებული იყო მსოფლიოს წამყვანი ენტომოლოგების მიერ რეკომენდებული ბიფენტრინის ჯგუფის პრეპარატი, რომელიც მავნებელთან ბრძოლისას ყველაზე ეფექტურია და გამოცდილია საქართველოში;

დ) 110,000 ჰექტარზე მეტი ფართობი დამუშავდა სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ. სპეციალური ტექნიკით (სატრაქტორე და სამანქანე აგრეგატები) და ავიაციის გამოყენებით სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში ჩატარდა მასშტაბური შეწამვლითი ღონისძიებები. აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაეცა საჭირო რაოდენობის პრეპარატები. ღონისძიებების ჩასატარებლად პრეპარატები, ასევე გადაეცა გალის რაიონს.

ე) საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სამეგრელოს, გურიის, აჭარის და იმერეთის იმ რეგიონებში, სადაც მავნებელი მასიურად არის გავრცელებული, მოსახლეობას, დაახლოებით 230 ათას ოჯახს, უსასყიდლოდ გადაეცა პრეპარატები ფერომონები და საინფორმაციო მასალები;

ვ) საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, USAID/REAP-ის მხარდაჭერით დაიბეჭდა და გავრცელდა 700 ათასზე მეტი საინფორმაციო ბროშურა; მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლები და განთავსდა ცენტრალურ და რეგიონულ ტელეარხებზე; 1,000-ზე მეტი საინფორმაციო მასალა გავიდა საინფორმაციო საშუალებებში (ტელევიზია, რადიო, საინფორმაციო სააგენტო, ბეჭდური მედია, ინტერნეტმედია); გააქტიურდა სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სოციალური ქსელი და ვებ-გვერდი; 12,000-იანი ტირაჟით დაიბეჭდა და რეგიონებში გავრცელდა გაზეთის "ჩვენი სოფელი" სპეციალური ნომერი.

აზიური ფაროსანა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ქვეყნის სოფლის მეურნეობას. პრობლემის სრულად აღმოფხვრა დღეისათვის მსოფლიოში არსებული საშუალებებით შეუძლებელია, თუმცა სათანადო ტექნოლოგიებით მიღწევადია მავნებლის პოპულაციის რაოდენობის შემცირება და კონტროლი, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისადმი პოტენციური ზიანის სიდიდის შემცირება.

IV. აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ძირითადი მიზანი

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე მავნებლის სრული მოსპობა შეუძლებელია. შესაძლებელია მისი პოპულაციის შემცირება, კონტროლი და მართვა, რაც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო და სატყეო კულტურების დაცვას და მოსავლის დანაკარგების მინიმიზაციას 5-15 %-ის ფარგლებში.

პროგრამის ფარგლებში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ძირითადი მიზანია გარემოსადმი ნაკლებად მავნე ტექნოლოგიების გამოყენების გზით აზიური ფაროსანას რიცხოვნობის შემცირება და კონტროლი, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სასოფლო-სამეურნეო და სატყეო კულტურების დაზიანება და მისგან გამოწვეული ეკონომიკური ზარალი.

V. აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ძირითადი პრინციპი

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის პროგრამა ეფუძნება როგორც უახლეს საერთაშორისო, ასევე 2017 წელს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელების შედეგად მიღებულ გამოცდილებას. პროგრამა ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპს:

1. სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივი ჩართულობა

აზიური ფაროსანას რიცხოვნობის მავნეობის მინიმალურ ზღვრამდე დაყვანა და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო კულტურების ზიანისა და ეკონომიკური ზარალის შემცირება მიღწევადია მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების, ფერმერების და ურბანული მოსახლეობის ერთობლივი ძალისხმევით.

1.1. სახელმწიფოს როლი

1.1.1. პროგრამაში ჩართული სახელმწიფო უწყებები, ადგილობრივი თვითმმართველობები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს როგორც მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, ასევე იმ კერძო სავარგულებზე, სადაც აუცილებელია თანამედროვე სპეციალიზირებული ტექნიკის გამოყენება;

- 1.1.2. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსახლეობის დროულ და სრულ ინფორმირებულობას მავნებლის ბიოლოგიის, მის წინააღმდეგ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების, გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ზომების შესახებ;
- 1.1.3. სახელმწიფო მოსახლეობას აძლევს რეკომენდაციებს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლისთვის აუცილებელი პრეპარატების, მათ შორის ბიოლოგიური, მექანიკური საშუალებებისა და ტექნიკის გამოყენების შესახებ;
- 1.2. საზოგადოების როლი
 - 1.2.1. მოსახლეობამ უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფოს მიერ მოწოდებული რეკომენდაციები აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო ეფექტური და უსაფრთხო ღონისძიებების შესახებ;
 - 1.2.2. შეატყობინოს შესაბამის სტრუქტურებს აზიური ფაროსანას ინვაზიის შემთხვევების შესახებ;
 - 1.2.3. ფერმერებმა დროულად და სრულყოფილად უნდა ჩაატარონ აგროტექნიკური სამუშაოები საკუთარ სავარგულებში, რაც შეამცირებს აზიური ფაროსანასგან სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე მიყენებულ ზიანს და მავნებლის გავრცელების რისკს;
 - 1.2.4. ბიზნესის წარმომადგენლები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში და გაითვალისწინონ სახელმწიფოს მიერ მიწოდებული რეკომენდაციები საკუთარი ოპერირების არეალებში.

VI. აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ძირითადი ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2018 წელს განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

1. საინფორმაციო კამპანია

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აზიურ ფაროსანასთან ბრძოლაში ჩართულ სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად უზრუნველყოფს ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას. საინფორმაციო კამპანიის ძირითადი გზავნილები იქნება შემდეგი:

1.1 სახელმწიფოსა და მოსახლეობის ერთობლივი ჩართულობა: აზიური ფაროსანას რიცხოვნობის მავნეობის მინიმალურ ზღვრამდე დაყვანა და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო კულტურების ზიანისა და ეკონომიკური ზარალის შემცირება მიღწევადია მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების, ფერმერების და ურბანული მოსახლეობის ერთობლივი ძალისხმევით;

1.2 სახელმწიფოს აქტივობების არეალი: სახელმწიფო ახორციელებს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს როგორც მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, ასევე იმ კერძო სავარგულებზე, სადაც აუცილებელია თანამედროვე სპეციალიზირებული ტექნიკის გამოყენება;

1.3. მოსახლეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო უზრუნველყოფა: სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსახლეობის დროულ და სრულ ინფორმირებულობას მავნებლის ბიოლოგიის, მის წინააღმდეგ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების, გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ზომების შესახებ. სახელმწიფო მოსახლეობას აძლევს რეკომენდაციებს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლისთვის აუცილებელი პრეპარატების, მექანიკური საშუალებებისა და ტექნიკის გამოყენების შესახებ.

საინფორმაციო კამპანია განხორციელდება მას-მედიის, სოციალური ქსელების, ბეჭდური მასალების საშუალებით, მოსახლეობასთან უშუალო ურთიერთობებით.

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში იმ სპეციალისტებს, რომელთაც უშუალო ურთიერთობები ექნებათ მოსახლეობასთან, სისტემატურად ჩაუტარდებათ „ტრენინგები ტრენერებისთვის“, რათა მოსახლეობას კვალიფიციურად და სრულყოფილად მიეწოდოს ინფორმაცია, რჩევები, ინსტრუქციები აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მეთოდების შესახებ.

2. მონიტორინგის სისტემა

მონიტორინგის სისტემა უზრუნველყოფს აზიური ფაროსანას გავრცელების არეალის, გადაადგილების მარშრუტის და ინტენსივობის დადგენას, სათანადო რეაგირებას და საპასუხო ღონისძიებების ოპტიმიზაციას.

გარდა ოპერატიულად მიღებული შედეგებისა, მონიტორინგი ასევე ხელს შეუწყობს ზოგად კვლევას მავნებლის ბიოლოგიისა და რიცხოვნობის დადგენის თვალსაზრისით, რაც აუცილებელია გრძელვადიან პერსპექტივაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის გეგმის შემუშავებისთვის. ასევე, მონიტორინგის საშუალებით შეგროვებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება შემდგომი ანალიზისა და ციფრული რუკების შექმნისთვის. ეს რუკები ხელს შეუწყობს მომდევნო წლებში აზიური ფაროსანას მონიტორინგისა და მართვის აქტივობების განხორციელებას ნაკლები დანახარჯებით.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მაღალი რისკის ზონებში განლაგდება ფერომონიანი ხაფანგები, რომელთა მონიტორინგს განახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ინვაზიის ზონებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ტყის საფარს და დაცულ ტერიტორიებს, რომელიც ასევე წარმოადგენს აზიური ფაროსანას გამოზამთრების არეალს. ტყისა და დაცული ტერიტორიების მიმდებარე ზოლებში, პერიმეტრზე განთავსდება მონიტორინგის სისტემები მუდმივი დაკვირვებისა და აუცილებლობის შემთხვევაში რეაგირების მიზნით, „მოიზიდე და მოკალი“ სადგურების მეშვეობით.

მონიტორინგის შედეგები აისახება ერთიან ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში და ხელმისაწვდომი იქნება ფართო საზოგადოებისათვის. მონიტორინგის შედეგები ასევე გავრცელდება მას - მედიის საშუალებით.

მონიტორინგის პროცესში სახელმწიფოსთან ერთად სრულფასოვნად იქნება ჩართული მოსახლეობა და მათგან მიღებული შეტყობინებები დაფიქსირდება ამ მიზნით შექმნილი სატელეფონო ცხელი ხაზის და ყველა მუნიციპალიტეტში არსებული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების საშუალებით.

3. აზიური ფაროსანას კონტროლის ღონისძიებები

პროგრამა ითვალისწინებს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საკუთრებაში არსებული ინვაზიის მაღალი რისკის მქონე ტერიტორიების დამუშავებას.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ქიმიური საშუალებებიდან გამოყენებული იქნება:

- ა) ბიფენტრინის შემცველი ინსექტიციდები;
- ბ) ზეთოვანი ინსექტიციდები (თერმული ნისლის ტექნოლოგია);
- გ) ფერომონიანი სატყუარები „მოიზიდე და მოკალი“ სადგურებისთვის.

ქიმიური დამუშავებისთვის გამოყენებული იქნება სამანქანო-სატრაქტორო შემასხურებელი საშუალებები, საჭიროების შემთხვევაში - დაუსახლებელ, არასაკარმიდამო ტერიტორიებზე სპეციალიზირებული ტექნიკა და მსუბუქი საავიაციო ტექნიკა შესაბამისი გარემოს დაცვითი ნორმებისა და უსაფრთხოების ზომების დაცვით.

საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში სხვადასხვა სახეობების მცენარეებისა და ნარგავების იმპორტი და ექსპორტი დაექვემდებარება განსაკუთრებულ ფიტოსანიტარულ კონტროლს.

4. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მიზნად ისახავს საქართველოს პირობებში აზიური ფაროსანას ბიოლოგიის შესწავლას, მისი ბიოლოგიური მტრების გამოვლენას, მათი გამოყენების შესაძლებლობას და მიზანშეწონილობას, მონიტორინგისა და მცენარეთა დაცვის სხვადასხვა, მათ შორის ბიოლოგიური საშუალებების ეფექტიანობის შესწავლას.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ეტაპზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრთან

ერთად სრულად იქნება ჩართული საქართველოს სამეცნიერო-აკადემიური წრეები (უნივერსიტეტები, აკადემიები, კვლევითი ინსტიტუტები).

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად ჩართულები იქნებიან უცხოელი სპეციალისტები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

მკვლევართა ჯგუფი შეისწავლის საქართველოში აზიური ფაროსანას ბიოლოგიასა და რიცხოვნობის დინამიკას. შეიქმნება მონაცემთა ბაზა და ციფრული რუქები მწერის გავრცელების შესახებ, რომლითაც მოხდება მისი გადაადგილებისა და ქცევის მონიტორინგი და შემუშავდება მავნებელთან დაკავშირებული სხვა კვლევითი აქტივობები, მათ შორის: აზიური ფაროსანას ბიოანტაგონისტებისა და ბიოლოგიური მტრების გამოვლენა, მცენარეთა დაცვის, მათ შორის ბიოლოგიური საშუალებების ეფექტიანობის შესწავლა და სხვა.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მეცნიერების მივლინებას უცხოეთში საერთაშორისო თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების მიღების მიზნით, მათ შორის ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მეცნიერების უცხოეთში გადამზადებას.

ადგილობრივი ცოდნის გაზიარებას მიზნით მოეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები კონფერენციები, შეხვედრები, სემინარები და სხვა ღონისძიებები.

VII. მოსალოდნელი შედეგები

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების შედეგად:

ა) მინიმუმირებული იქნება სასოფლო-სამეურნეო და სატყეო კულტურებზე მიყენებული ზიანი და, შესაბამისად, ცალკეული ფერმერებისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკისთვის მიყენებული ზიანი;

ბ) გაძლიერდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური, მისი სპეციალური ტექნიკის პარკი, რომლის გამოყენებაც, გარდა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლისა, შესაძლებელია სხვა სასოფლო-სამეურნეო მიზნობრიობითაც;

გ) ქვეყანა მიიღებს მეტ გამოცდილებას და ფაქტობრივ მონაცემებს მავნებლის ბიოლოგიის, გადაადგილების მარშრუტების, რიცხოვნობის შესახებ, რაც აისახება სათანადო მონაცემთა ბაზებში და გამოყენებული იქნება მავნებელთან შემდგომი ბრძოლის ოპტიმიზაციისთვის;

დ) მინიმუმირებული იქნება ურბანულ დასახლებებში, პარკებისა და სკვერების მცენარეებისთვის მიყენებული ზიანი.

VIII. პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეები

პროგრამას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში ასევე ჩართულები იქნებიან ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID და მის მიერ დაფინანსებული პროექტები, ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამა EU CIB, კომპანია „ფერერო“ საქართველოში, სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, სასოფლო-სამეურნეო სფეროში მომუშავე დარგობრივი ასოციაციები.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით შეიქმნება უწყებათაშორისი კომისია შემდეგი ინსტიტუციების მონაწილეობით:

- ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- ბ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- დ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ე) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ზ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

თ) შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

ი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

კ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

ლ) ადგილობრივი თვითმმართველობები;

მ) საქართველოს პარლამენტი;

ნ) სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.